

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №69/ნ
2018 წლის 11 მაისი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებაში (სსმ, №140, 29/10/2010, 430210000.22.022.016026) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებში/პროგრამებში კონკრეტულ პირთა მონაწილეობისათვის, ცენტრი, სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების მეორე და მესამე ტურში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას: მოსწავლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, კლასი, სკოლა, რეგიონი, რაიონი (სადაც მოსწავლე სწავლობს), საგანი, მე-2 და მე-3 ტურების შედეგები.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

